# პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

**ბიომასის ენერგია და ენერგოეფექტური ტექნოლოგიები, როგორც მდგრადი ენერგეტიკული გადაწყვეტილებები მერების შეთანხმების ხელმომწერი ქალაქებისთვის**

**განხორციელების ვადა:** 01.02.2018 - 31.01.2021

**EaP ქვეყნები:**
Georgia

**ევროკავშირის წვლილი:** € 598 913

**მთლიანი ბიუჯეტი:** € 748 641

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
Energy Efficiency Centre (EEC)



**სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:**
EEC Georgia (Facebook page), facebook.com/eecgeorgia/,

**პროექტის ვებსაიტები:** www.eecgeo.org

**პროექტის აღწერა:**

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის "მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის" პროგრამის ფარგლებში, რომელიც ათასობით ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელს აერთიანებს ევროკავშირის მიერ დასახული კლიმატისა და ენერგეტიკის ამოცანების შესასრულებლად.
პროექტი თელავის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობს, რათა:
- დაინერგოს ენერგოეფექტური ღონისძიებები, გამოყენებულ იქნას განახლებადი ენერგიის წყაროები საპილოტე საბავშვო ბაღებში
- წახალისდეს განახლებადი ენერგიის წარმოებასა და გამოყენებას, ადგილობრივად ხელმისაწვდომი ბიომასის და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით
- განახლებადი ენერგიის მიწოდების ჯაჭვის შექმნის შესაძლებლობის შეფასება და მისი ინიცირება შერჩეულ მუნიციპალიტეტებში, გრძელვადიანი საზოგადოებრივი სერვისის (ბიომასის წყაროს დამატებით) უზრუნველსაყოფად სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის
- მოხდეს ცნობიერების ამაღლება 'მერების შეთანხმების' პოლიტიკისა და მდგრადი ენერგეტიკის საინვესტიციო პროექტების შესახებ, ამ პროექტებისრეპლიკაციის მხარდაჭერა საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებში, კერძოდ 'მერების შეთანხმების' ხელმომწერებში

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ორი შერჩეული მუნიციპალური/საზოგადოებრივი შენობის სრულად თბო-მოდერნიზირებულია განახლებადი ენერგიის და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გათვალისწინებით
- შექმნილია განახლებადი ენერგიის (ბიომასის) მიწოდების ჯაჭვი ორი შერჩეული შენობის გათბობის უზრუნველსაყოფად სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების (ვენახის ნასხლავით) გამოყენებით
- სამიზნე მუნიციპალიტეტების ადგილობრივ მმართველობაში გაუმჯობესდა მენეჯერული და ტექნიკური შესაძლებლობები, იმისათვის რომ მოხდეს მეკსგ-ს ღონისძიებების საინვესტიციო პროექტებად გარდაქმნა და „მერების შეთანხმების" ვალდებულებების შესრულება მეკსგ-ს განხორციელების გზით
- შემცირებულია იმპორტირებულ წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულება და ადგილობრივად ხელმისაწვდომი განახლებადი ენერგიის წყაროების წილი გაზრდილია მუნიციპალურ ენერგომოხმარებაში
- დაინტერესებული მხარეების და ფართო საზოგადოების გაზრდილი ცნობიერება სუფთა ენერგოტექნოლოგიების სიკეთის შესახებ სამიზნე მუნიციპალიტეტში და მის ფარგლებს გარეთ.